საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

ს.ს.ი.ჯ. მიწის მდგრადი მართვისა და
მიწათსარგებლობის მონიტორინგის
ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF ENVIRONMENT
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

LEPL NATIONAL AGENCY FOR
SUSTAINABLE LAND MANAGEMENT
AND LAND USE MONITORING

მის: 0160, საქართველო, თბილისი, ვაზისუბნის ქ. 25; ტელ: (+995 32) 231 30 26; Address: 25 Vazisubani str. Tbilisi, 0160, Georgia; Tel: (+995 32) 231 30 26;

N 1360/01
15/08/2022

1360-01-2-202208151043

ამხანაგობის წარმომადგენელს

მოქალაქე: ანდრეი პეტროვს (პ/ნ N 22001001954)

მის.: [redacted]

ტელ.: [redacted]

ბატონო ანდრეი,

სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2022 წლის 20 ივლისს წარმოდგენილია თქვენი N992 განაცხადი საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილეობის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა'' პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება. ამავე კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს

განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია, ხოლო მე-5 ნაწილით, დადგენილ ვადაში შესაბამისი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პროგრამით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დასადასტურებლად პრეტენდენტმა განაცხადის რეგისტრაციისას სააგენტოს უნდა წარუდგინოს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, მის ან/და მისი მეპაიის/წევრის მფლობელობაში არსებული იდენტიფიცირებული მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობის შესახებ, გაცემული განაცხადის წარდგენამდე არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე. ამავე პროგრამის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის უფლებით მიღებულ საძოვარზე მხოლოდ პროგრამაში ჩართული პირუტყვის ძოვება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“.

საქართველოს ფოსტის ჩაბარება/არ ჩაბარების შეტყობინების ბარათებით დადგინდა, რომ შეტყობინება ხარვეზის დადგენის თაობაზე არ ჩაგბარდათ, შესაბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილებით, გეგზავნებათ განმეორებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამაში" მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს 2022 წლის 28 მარტის N2-15 ბრძანებით დამტკიცდა ზემოხსენებულ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს განაცხადის წარმომდგენი პირის თანხმობას, იმის შესახებ, რომ თუ სააგენტოში წარდგენილ განაცხადზე ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, სააგენტოს გადაწყვეტილების ჩაბარება ვერ მოხერხდება განაცხადში მითითებულ მისამართზე, სააგენტოს გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით გამოცხადდება საჯაროდ (კერძოდ საჯაროდ გამოცხადებად ჩაითვლება სააგენტოს ოფიციალურ ვებ. გვერდზე გადაწყვეტილების განთავსება) და ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება ჩაითვლება განაცხადის წარმდგენისთვის ჩაბარებულად. ამდენად, ვინაიდან თქვენ ზემოხსენებულთან დაკავშირებით სააგენტოში განაცხადის წარდგენის ეტაპზევე გქონდათ გამოხატული თანხმობა, აღნიშნული კორესპონდენცია ასევე გამოცხადდება საჯაროდ და აღნიშნული შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება საჯაროდ გამოცხადებიდან მე-10 დღეს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი განაცხადი არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლითა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამით“ დაწესებულ მოთხოვნებს, კერძოდ:

ა) თქვენ მიერ წარმოდგენილ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 220911293, რეგისტრაციის თარიღი: 20.07.2022 წ., ნოტარიუსი: შ. ხარაიშვილი) ითვალისწინებს ფორს-მაჟორულ სიტუაციებში - დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში (მოვალის ბრალის არარსებობისას) დამდგარი ზიანის განაწილების წესს, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ითვალისწინებს პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანის მიყენების შესაძლებლობას. ამდენად, თქვენ მიერ წარმოსადგენია კორექტირებული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, რომელშიც მოცემული იქნება მონაწილეთა შორის ზოგადად ზიანის განაწილების წესი და პირობები.

ბ) თქვენს დაინტერესებაში არსებული საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი არასრულადაა მოცემული განაცხადში. რეგისტრირებული საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი თქვენ მიერ მითითებული საკადასტრო კოდით არ არსებობს, შესაბამისად, არ არის პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ მიმდინარე ეტაპზე შერჩეულ აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრების სიაში, რომელიც გამოქვეყნებულია სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე.

ბ) განაცხადით არ დგინდება, რომ დაინტერესებულ პირს წარმოადგენს ამხანაგობა. დაინტერესებულ პირად მითითებულია ანდრეი პეტროვი.

გ) არ არის წარმოდგენილი ამხანაგობის წევრთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N497 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების

ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრეტენდენტ(ებ)ის მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული მონაცემების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, სააგენტო განაცხად(ებ)ის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას განაცხადზე ხარვეზის დადგენის შესახებ და პრეტენდენტს აძლევს 10 (ათი) კალენდარულ დღეს ხარვეზის აღმოსაფხვრელად. დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განაცხადის განხილვის ვადის დინება შეჩერებულად მიიჩნევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააგენტომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განგისაზღვრათ 10 (ათი) კალენდარული დღე, რათა წარმოადგინოთ ამხანაგობის წევრთა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები და კორექტირებული ხელშეკრულება ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით. ასევე, გთხოვთ, დააზუსტოთ მოთხოვნა, კერძოდ, განაცხადში მიუთითეთ, რომ დაინტერესებულ პირს წარმოადგენს ამხანაგობა და განაცხადი წარმოადგინეთ ისეთ მიწის ნაკვეთზე/ნაკვეთებზე, რომელიც მიმდინარე ეტაპზე აუქციონის გზით იჯარით გასაცემი საძოვრების სიაშია და გამოქვეყნებულია სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენს მიერ შერჩეული ნაკვეთის/ნაკვეთების ფართობი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ზღვრული დატვირთვის ნორმების მიხედვით, შესაბამისობაში უნდა იყოს თქვენს მფლობელობაში არსებული პირუტყვის რაოდენობასთან. ამავე ვადით შეჩერდა წარმოდგენილი განცხადების განხილვის ვადის დინება და თქვენ მიერ ამ ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

ასევე გაცნობებთ, რომ წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში **(მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64)** აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიორგი მიშელაძე

თავმჯდომარე